| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## სასწავლებელი დაპანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—12)


ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 29 ნოემბერს,

ბენეფისი

ვ. ლ. გუნიასი

ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

## ედმუნდ კინი

კომედია 4 მოქმედ. თხზ. ა. დიუმასი.

II

ახალი პიესა

## ადვოკატთან

კომედია 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალოვისა, დიმედი; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, სუციშვილი, სვიმონიძე, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

## ახალი ამბავი

*** კვირას, 3 დეკემბერს, «ტფილისის საზრანიაში» ქართული ხორის ამხანაგობა, ბ-ნი ი. ივ. რატილის ლოტბარობით, გაჰმართავს კონცერტს. ამ კონცერტისთვის ხორო დიდის ამბით ემზადება. მონაწილეობას მიიღებენ, გარდა თვით რატილისა, მისი ქალი და ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა.

*** პეტერბურგის გაზეთები მარტო იმაზედ-ღა ჰლაპარაკობენ ეხლა, რომ ახალი ავადმყოფობა „ინფლუენცია“ თანდათან ვრცელდება. „Standard“-ის პეტერბურგელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ 150,000 არის ავად ინფლუენციით ამ ჟამად პეტერბურგშიო, თუმცა უფრო მეტი-კი უნდა იყოს, თუ რუსულს გაზეთებს დავუჯეროთ. ეხლა რაღაც ამ ინფლუენცისებური ავადმყოფობა ვგონებ ტფილისშიაც ვრცელდება. ამ ახირებულის სენით შეპყრობილთ ხელა უტყდებათ, ყელი ჩამოსდით, თავის ტკივილი სჩემდებათ, სიცხეს აძლევთ და სხვ. ამ სენს ჯერ-კი უბედურება არა მოჰყოლია-რა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტად ბევრნი არიან იმით ავად. ჩვენც აგერ უკვე სამი ასოთ-ამწყობი გაგვიხდა ამ სენით ავად. გუშინდელს ნომერში „Новое Обозрѣніе“-ც იმავ ასოთ-ამწყობთა ავადმყოფობასა სჩივის. მაგრამ რა ასოთ-ამწყობი, ათს ოჯახში რომ ერთი ამისთანა ავადმყოფი არ იყოს, სწორედ ძნელი საპოვნელია. კარგი იქნება, რომ ჩვენმა სამედიცინო საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება ამ ახალს სენს და გამოიკვლიოს, ესეც „ინფლუენციაა“, თუ სხვა კიდევ რამე «ენციაა»?!

*** ბათუმში იქაურ საოპერეტო დასს უთამაშნია ოპერეტი „ხაჯი-მურადი“ წერა-კითხვის საზოგადოების“ ბათუმის სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენიდამ შემოსულა 592 მან.

ამას გარდა ბილეთებში მეტი მიუციათ:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დ. თ. ხარაზოვს | 15 | „ |
| ბ-ნს კოირეს | 5 | „ |
| ბ-ნს გროტტეს | 2 | „ |
| ბ-ნს მატიეეჩს | 2 | „ |

სულ შემოსავალი ყოფილა 616 მან. აქედამ 300 მან. აუღია საოპერეტო დასს თეატრისა და მონაწილეობისთვის, დანარჩენი 316 მან. „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გადმოეცა დანიშნულებისამებრ.

გამგეობა „საზოგადოებისა“ გულითადს მადლობას უძღვნის ყველას, ვინც წარმოდგენას ხელი მოუწყო, და განსაკუთრებით ქ-ნთ: მ. ი. ღლონტისას, ე. ა. გრიელსკისას და ბ-ნებს: პ. მ. ღლონტს, ლ. ს. ქიქოძეს, ი. დ. ფორაქაშვილს, ა. ს. ლოლუას და მ. გ. წეითლინს.

*** 27 ნოემბერს, ორშაბათს, საზაფხულო თეატრში მალოროსიელთა სათეატრო დასმა წარმოადგინა „За друга“, პიესა სტარიცკი-ბეჟბრეჟნისა ბენეფისად უმთავრესის რეჟისორის სტარიცკისა. წარმოდგენაზე საკმაოდ ბლომად დაესწრო საზოგადოება. მხოლოდ პირველის რიგის სკამები იყო ცარიელი. პირველი ორი მოქმედება მოისმინა მთავარ-მართებელმა თ. დონდუკოვ-კორსაკოვმაც. თავი იჩინეს თამაშობით ბოიარსკის ქალმა და მანკომ. საზოგადოდ მთელი დასი მშვენიერის ანსამბლით თამაშობს. პიესაც აზრიანი იყო, თუმცა დიდის ხელოვნებით-კი არ არის დაწერილი.

*** ბარის ოსეთი: როგორც ეტყობა, წელსაც ვერ გადმოგვეხედა ზამთარმა ბარის-ოსეთში მოწყალე თვალით. ეიძახდით, მადლობა ღმერთს, შარშანდელის ზამთრით დამწვარ-დადაგული გული ეგები წრევანდელის კარგის მოსავლით მაინც გავინელოთო, მაგრამ სადღა დაგვაცალა ზამთარმა. დადგა თუ არა გიორგობისთვე, მოხსნა ცამ პირი და იმდენი ითოვლა, რომ სულ ერთიანად გადაათეთრა მთა და ბარი და თითქმის ერთს არშინამდე თოვლი მოვიდა. ამ უდროვოდ მოსულ თოვლის წყალობით ბარის ოსეთში თითქმის ნახევარი სიმინდი გასარჩევი დარჩათ; კარტოფილიც ბევრი დარჩათ ამოსაღები და პური კიდევ დაუთესავი. თანაც დაჰყინა წისქვილები და ზოგ-ზოგ სოფლებიდგან იძულებულნი შეიქმნენ, თხუთმეტ-ოც ვერსზედ წაეღოთ ზამთრის სარჩო დასაფქვევლად.

*** გაზ. „მეურნე“ ამბობს: წარსულს კვირას ტფილისის საბაღოსნო სკოლაში ეგზამენები იყო და კურსი 6 შეგირდმა გაათავა. ამ ექვსში, როგორც შევიტყეთ, ორს უკვე უშოვია ადგილი მებაღესიო.

*** ტფილისში მოსულა ამბავი, რომ ტფილისის გუბერნიის მარშალს თ. ივ. კ.-ძეს მუხრანსკის საფრანგეთის მთავრობამ მიუსაჯა ორდენი «Merite agricole». ეს ჯილდო ეძლევა მხოლოდ იმას, ვისაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სოფლის მეურნეობის წინაშეო (გაზ. „კავკაზი“).

## ფელეტონი

წერილი მეგობართან

ძმაო ექვთიმე!

მეგობარი სწორედ რომ უებარი წამალი ყოფილა კაცის გულის ტკივილისა. შენმა წერილმა ცოტა არ იყოს ჯავრი შემიმსუბუქა, გამომაცოცხლა, დაკოდილი, დასნეულებული იმედი მომირჩინა... გრძნობიერი კაცი ხარ და ამიტომ საყვარელიც, ჩემო კარგო. ყველას უყვარს, საზოგადოდ, გრძნობიერი კაცი და მე მით უმეტეს. ტყუილად-კი არა აქვთ პოეტებს მეტი სახელი და პატივისცემა სხვა გვარ მოაზრეთა და კალმის მსახურებზე. ეს პოეტების გრძნობიერობის ბრალია. შენც კარგად იცი, რომ ცხოვრებაში დიდი ძალა აქვს გრძნობას, დიაღ, გრძნობას, რომელიც თავის ნებაზე ათრევს ხშირად ჭკუა-გონებას კაცისას და საითაც უნდა, თავს იქითკენ უზამს. მართლაც-და, რას არ ჩაადენინებს კაცსა გრძნობა?!. ღმერთმა ყველა კაცს უდღეგრძელოს კეთილი გრძნობა და კერძოდ შენ, ჩემო მეგობარო! აბა იფიქრე, რა ბედნიერია კაცი მაშინ, როცა მაღალის გრძნობითა ხარ გამსჭვალული და მიისწრაფი სხვის საშველად, კეთილის საქმისაკენ. სწორედ სამოთხის ნეტარებაა სიყვარულით გამსჭვალული გრძნობა და ოცნება, ბედნიერებაა ამ გვარი სიჭაბუკე! ნეტავი ერთხელ მაინც ვიგრძნობდე იმის სიყვარულს, რაც დღეს მიყვარს, ვიგრძნობდე ისე, როგორც ჭაბუკობის დროს ვგრძნობდი და ვეტრფოდი ახალგაზდურს სიყვარულის საგანს... ბედნიერი, თუმცა-კი მოტყუებული ვიყავი მაშინ, როდესაც განსვენებულის პოეტის სიტყვებს, იმის პატიოსანის გულის ცრემლს ვიმღეროდი:

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი.
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი და სხვ.

ეხლა რაღა ვიმღერო? ეხლა სიმღერა აღარ მწადიან, მხოლოდ ჩემთვის ვღუღუნებ და მარტო შენ გატყობინებ ამ ჩემს ღუღუნს: მერანი არ მირბის, არც მიმაფრენს, არამედ გაფრენილი, გამალებული დაბრუნებულა უკან, ვერ გაუპია კლდენი და ღრენი, წინ დაჰხვედრია ადიდებული მდინარე, დალალულ - დაქანცული, ოფლში გაწურული მოჩანჩალებს შინისკენ და ის თვალ-ბედითი ფრინველიც არ ეხსნება, თან მოსდევს და უგემურის ხმით მოსჩხავის. ეგ ტიალი, საშინაოდ დაბრუნებულსაც რომ აღარ ეხსნება, თავს არ ანებებს?!.. მაშინდელი ჩვენი ყოფნა საოცარი იყო: ჩვენს თავში და გულში სწორედ ჩექა-ქუხილი იყო გაჩაღებული. ერთი მხოლოდ ხალხი და იმისი კუჭის ვითარება გვაწუხებდა; ჩვენ არ დავსდევდით არც იმის ენას, არც ზნე-ჩვეულებას, არც ჩვენს მწერლობას, არც თეატრს. მაგრამ როდესაც მოვიზარდენით, ქვეყანა გავიგეთ, ქვეყანა შევიყვარეთ, ბევრი რამ საყვარელი ვნახეთ, კუჭს გარდა, ხალხისა და ქვეყნის არსებაში. ჩვენი შეხედულობა ეხლა უფრო სადი და მთელია. მაგრამ, შენსას არ ვიტყვი, მე იმ გრძნობით აღარ მიყვარს ახალი, უფრო საყვარელი საგანი. რადა? იმიტომ-რომ სიჭაბუკეში დამელალა გული და გრძნობა. ხომ იცი, პირველი სიყვარული სხვაა, მეორე სხვა და მესამე ნაცარ-მიყრილს ცეცხლსა ჰგავს, ოდნავ სითბოსა და სინათლეს მომცემს. ხომ გახსოვს, რა იმედით გავდიოდით ცხოვრებაში? ჩვენ გვეგონა ერთის დაძახების მეტი არ დაგვჭირდებოდა, ხალხი იწამებდა ჩვენს სიტყვას, ჩვენს რჩევას და წინასწარმეტყველებად დაგვსახავდა, მაგრამ ცხოვრებამ არ მიიღო ჩვენი რჩევა, ჩვენი მოკეთეობა არ იწამა: იმას თავის საკუთარი კანონები, საკუთარი იერი, ფერი და მოთხოვნილება ჰქონია კიდევ და ჩვენ არ ვიცოდით. გამოცდილებამ სხვა მხარეც დაგვანახვა ცხოვრებისა, სხვაც გვასწავლა და დაგვაყენა სწორე გზაზე, მაგრამ ჩვენი ძალ-ღონე-კი ამაოდ დაიხარჯა და დაილია... შენ კიდევ ისე არ გეტყობა მოღალულობა, თუმცა მე და შენ ერთის დოლობისანი ვართ, ერთის ბაირაღის ქვეშ ნადგომნი ერთს დროს... არ ვიცი რით ავხსნა ეს მოვლენა? მიზეზი იქნება ის იყოს, რომ შენ ჯერ კიდევ სწავლობ და მე-კი ცხოვრების ზვირთებს ვეთრევინები. სწორედ ეს უნდა იყოს. ეს გრძნობიერობა, გულის სიჭაბუკე მშურს შენთვის, მაგრამ შური რას მიშველის, ახლად ვერ დაანთებს ჩემს დაფუტურებულს გულში ცეცხლს. შენის წერილის თითოეული სიტყვა ალსა მცემს თავ-პირში: გეტყობა ყველა ჩვენი საქმე გულს გატკივებს, ჩვენი ლიტერატურა, სწავლა-განათლება, საზოგადოებანი, თეატრი, ახალგაზდობა და სხვ. და სხვ. ჯერ შენგან ისეთი წერილი არ მიმიღია, რომ ახალგაზდობაზე არაფერი გქონდეს ნათქვამი. სხვა რომ დაგავიწყდეს, ახალგაზდობას არ ივიწყებ. გეტყობა, გიყვარს ახალგაზდობა, და ან-კი ვის არ უყვარს ეს მომავალი ძალ-ღონე ჩვენის ქვეყნისა? ტყუილად არ მიჰმართა პოეტმა ახალგაზდობას ამ სიტყვებით:

თქვენის სამშობლოს, თქვენკენა რბის თვალი და გული და სხ.

დიაღაც რომ რბის სამშობლოს თვალ-გული ახალგაზდობისაკენ, როგორც დაერდომილის, დაუძლურებულის მშობლების თვალ-გული ერთად ერთის შვილისაკენ, რომელმაც უნდა აცხოვროს და ანუგეშოს ღონე-მოკლებულნი მოხუცებულნი. ეხლა ისიც ვიკითხოთ, თუ ახალგაზდობის თვალი და გული საიდღა გარბის? არ ვიტყვი ყველასას, მაგრამ უმრავლესობისა-კი კანცელარიისკენ რბის, იმისაგან მოელიან შველასა და შვებას. რომ ჩვენი ახალგაზდობა მცონარე, უქმია, ეს სხვათა შორის იმითაც-კი მტკიცდება, რომ იმან თავის წრიდამ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი კაცი, რომ კაცობისა რამ ნიშან-წყალი ეტყობოდეს... არ არის სასიამოვნო, ჩემო მეგობარო, ამის თქმა, მაგრამ უნდა ვსთქვათ, მეტი ღონე არ არის, რადგან

ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას.

ნაცვლად კაცებისა, ახალგაზდობამ გამოჩეკა გრძნობა-გონება მახინჯი ხალხი: აშორდიები, სანდალეები და იმათი დამქაშები. სხვაგან რომელს ქვეყანაში იპოვნი ამ გვარს მაგალითებს, რომ კაცი სწიხლავდეს თავისს დედა-ენას, თავისს სახელიან კაცებს, თავისს ლიტერატურას, თავისს ისტორიას და სხვას და სხვას? ჩვენში, მხოლოდ ჩვენში. სწორედ ჩვენში განხორციელდა ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თვითონ იკრაო“. სეირია სწორედ, როცა კაცსა ჰხედავ ამისთანა

*** პოლიციის მეცხრე განყოფილებაში, 25 ნოემბერს, იქ, სადა სულით ავათმყოფთა სამკურნალოა, მიყრუებულს ქუჩაში ვერცხლის საათი და 5 მ. ფული მოსტაცა ტფილისელმა არშაკ შარიმანოვმა უაზნელს არტემ ბაღრამოვს. დამნაშავე შეიპყრო მე-10 განყოფილების პოლიციელმა ვაჭარ თაიროვის მეეტლეს შემწეობით.

## წერილი რედაქციის მიმართ

„წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა მოვალედ ჰრაცხს თავის თავს განაცხადოს, რომ სრულიად უსამართლოა საყვედური, რომელიც „ივერიის“ მე 248 №-შია გამოთქმული გორის შესახებ. გორს წინა წლებშიაც ყოველთვის დიდი თანაგრძნობა და შემწეობა აღმოუჩენია „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ და წელსაც მაისში გამართულ ლატარია-ალლეგრისთვის საზოგადოების აგენტის ეკ. ფურცელაძის თაოსნობით შეგროვილი იყო 42 მან. ფულად და ნივთებადაც თითქმის ამდენივე. ხოლო, სამწუხაროდ, ეს შემოწირულება ცალკე არ იყო მოხსენებული „საზოგადოების“ წლიურს ანგარიშში, რადგან ყოველი შემოწირულება ლატარიისთვის ფულად თუ ნივთებად ზედ შეეკეცა ლატარიის სრულს შემოსავალს.

უსამართლოდ მიაჩნია გამგეობას საყვედური აგრეთვე ქუთაისის შესახებაც, რადგან „ანგარიშში“ მოხსენებული 107 მან. და 15 კაპ. კნ. ელ. დ. ლორთქიფანიძის შემოწირულებად, ქუთაისში გამართულ კონცერტიდგან არის შემოსული.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

თავის წერილში („Нов. Обоз.“ № 2043) ნარ-დოსი ამბობდა, რომ იმითი-კი არ აიხსნება „ვეფხის-ტყაოსნის“ გავრცელება ქართველთა შორის, ვითომ ამ ნაწარმოებს უკვდავი ღირსება რამ ჰქონდესო.

არა, რუსთაველის სამშობლოში გავრცელება უკვდავს რასმე თვისებას არ უნდა მიეწეროს ისევე, როგორც „Бова Королевичъ“-ის (საშუალო საუკუნის მოთხრობაა, იტალიიდგან შემოტანილი რუსეთში) სახალხო საკითხავ წიგნად გადაქცევა რუსეთში იმის უკვდავს ღირსებას არ მიეწერება. რუსეთი რომ პეტრეს რეფორმებს არა ჰღირსებოდა და ახალი ძლიერი ლიტერატურა რომ არ შეექმნა, არამც თუ რუსთა ერი, იმათი ინტელიგენციაც-კი სვე-უბედურ „Бова“-ს კითხვით დასტკბებოდა, ისე, როგორც ქართველები სტკბებიან თავისის რუსთაველით.

აი გუშინდელს „Нов. Обоз.“-ში რას ამბობს ამისავე შესახებ ბ-ნი ნიკოლაძე:

საქმე მარტო იმაში-კი არ არის, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ მეტად გავრცელებულია, არამედ იმაში, რომ იმისი სენტენციები, სიტყვები და თქმულობანი, იმისი ზნე ქართველს ერს შეესისხლ-ხორცა. წარსულ საუკუნეთა ქართულს ლიტერატურაში არსებობს „Бова Королевичъ“-ისებური ნაწარმოები—„ყარამანიანი“, მაგრამ ვგონებ არასოდეს არც ერთს ქართველს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ დიდი მნიშვნელობა რამ დაემკვიდრებინა ამ ნაწარმოებისათვის. „ვეფხის-ტყაოსანისა“ და „Бова Королевичъ“-ის შედარება-კი იმასა ჰნიშნავს, რომ ადამიანმა შინაგანსა და გარეგანს ღირსებას ლიტერატურულ ნაწარმოებისას არავითარი განსხვავება არ მისცეს და ან ლამაზსა და დაშალტულს სიტყვებს ანაცვალოს საკამათო საგნის დედა-აზრი. ასეთის საქციელით მწერალი მარტო ოდენ ღრმა შებრალებას თუ გამოიწვევს, თორემ სხვა არაფერს...

მარტო შებრალებას-კი არა, ზიზღსაც-კი უნდა გამოიწვიოს, ჩვენის აზრით, ასეთმა თვალის ახვევამ, ასეთმა დამცირებამ ერთის ღირსებისამ, რომ მეორე აამაღლოს და უბრალო არაკი ისეთს ნაწარმოებს ამოუყენოს გვერდში, როგორიც „ვეფხის-ტყაოსანია“, ან თუ არა-და, „Бова Королевичъ“-ს, ამ მარტო ოდენ რუსის ხეპრე ჯარის-კაცების საკითხავს წიგნს, ისე გატაცებით კითხულობდა განა რუსის ინტელიგენცია, თუნდა პეტრეს წინადაც, როგორც ნარ-დოსი ამბობს? ჩვენ, ქართველები, ვსთქვათ, სამართლიანად დავამცირეთ, ამ რუსის ინტელიგენციამ რაღა ვირი მოჰკლა ნარ-დოსს? ან იქნება თავისის ერთი და ერთი აკინებულის აზრის დასამტკიცებლად მაგ ვაჟბატონს მანიადა აქვს გადაქცეული არაფრის წინ არდახევა და ყველაფრის შელახვა და დამცირება?!

**

ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვყავდა სამედიცინო საზოგადოების დევ-გმირი პენტიუხოვი, რომელმაც საგეოგრაფიო და საეტნოგრაფიო სახელები ერთმანეთში დოლხაშივით აურია და ქართველი ცალკე უჯრაში მოაქცია, იმერელი—მეორეში, გურული—მესამეში და სხ. ეხლა ამ გვარადვე თავი იჩინა და დევ-გმირობა გასწია სომხურმა ყოველ კვირეულმა ჟურნალმა „არძაგანქმა“. ამ ჟურნალის უკანასკნელს ნომერში მოყვანილია კავკასიის სამეურნეო გამოფენის დასაჩუქრებულ ექსპონენტების რიცხვი ეროვნებად განაწილებული. „არძაგანქი“ ჰბრძანებს, რომ

ბარათი ქებისა მიეცა: 105 რუსს, უმთავრესად ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთა და ყაზახებს, 88 სომეხს, 85 მთიულს და საზოგადოდ მაჰმადიანს, 52 ქართველს, 21 გერმანელს, 7 ებრაელს, 5 ფრანგს, 4 პოლშელს, 2 ქურთს, 1 ჩეხს და 1 ბერძენს.

ვკითხოთ ახლა ამ ბრძენს ჟურნალს, ეს 85 მთიული და საზოგადოდ მაჰმადიანი ვინ არის? განა მთიული ქართველი არ არის? თუ ერევნელი შანჭრაჯა და ხაჩაპოდი სომეხთა რიცხვშია მოქცეული, მთიული-კი რატომ ქართველთა რიცხვში არ უნდა ჩაითვლებოდეს, ის მთიული, რომელსაც მაჰმადიანი ჭირივითა სძულს, ქართულს ენაზედ ჰლაპარაკობს და ჰლოცულობს და კეთილს დღეს არ დააყრის იმას, ვინც გაუბედავს და ურჯულო მაჰმადიანს უწოდებს? რას უნდა დავაბრალოთ ეს სომეხთა „ჟურნალის“ უმსგავსო ნახტომი, თუ არ იმას, რომ უნდოდა დაჯილდოებულ ქართველთა რიცხვი შეემცირებინა, რათა სომეხთა რიცხვი სიის მეორე ალაგას მოჰყოლოდა და არა ქართველთ შემდეგ!!

**

რაკი ტფილისის გაზეთებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩვენს ნარკვევს ისე ვერ გავათავებთ, რომ ჩვენი „Тиф. Листокъ“-იც არ მოვიხსენიოთ და ამ გაზეთების მაჩანჩალაზედაც არა ვსთქვათ-რა. ამ გაზეთმა ბოლოს დროს სწორედ ამერიკულ გაზეთებთან მოინდომა ფეხის გაჭიმვა. ამას წინად იმის განცხადებაში იყო დაბეჭდილი, რომ «აღმასრულებელი ფურცელი» ძალიან იაფად იყიდება გაზ. „თეატრის“ რედაქტორის ნებიერიძისაო. ამ აწირებულს განცხადებას, მხოლოდ ადამიანის დასამცირებლად დაბეჭდილს, მეორე არა ნაკლებ აწირებული განცხადება მოჰყვა. სამშაბათის „Тиф. Листокъ“-ის პირველ გვერდზედ დიდის ასოებით არის გამოცხადებული:

ცოლი მინდა შევირთო
და
საცოლოს დავეძებ.
დაწვრილებულს პირობებს ფოსტით ვაუწყებთ მსურველს.
წერილები ამ ადრესით გამოგზავნეთ: ტფილისს, მოთხოვნამდე, № მ. ბ. ბ.

გუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირნახირაო!

## უცხოეთი

ინგლისი. პარლამენტი ამ ორ სამ კვირაში მოსვენებული იყო, მაგრამ პარლამენტის ორატორებმა-კი მაინც ვერ დაისვენეს. ისინი დადიოდნენ აქეთ-იქით და ელაპარაკებოდნენ ამომრჩევლებს შინა პოლიტიკის სხვა-და-სხვა საყურადღებო საგნის შესახებ. თუ პარლამენტის მოღვაწეობა იმითია შესამჩნევი, რომ მრავალი ცვლილება შეაქვს ცხოვრებაში, არც ის დრო გადის უნაყოფოდ, როცა პარლამენტი არა მოქმედობს და იმისი ორატორები სიტყვებს სიტყვებზე წარმოსთქვამენ სხვა-და-სხვა ქალაქში და ამ ლაპარაკით არკვევენ ყოველ ახალს გარემოებას ცხოვრებისას, ურთი-ერთობას დასებისას და მომავალს საპარლამენტო მოქმედების პროგრამას. ეხლანდელს საპარლამენტო კანიკულებში ბევრი ილაპარაკეს სხვა-და-სხვა ალაგას ლიბერალების მეთაურმა კაცებმა: გლადსტონმა, ჯონ მორლეიმ, გარკურმა, გოშენმა და სხვათა. ამათ ლაპარაკში დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული მუშების მიერ პირის შეკვრას და მუშაობაზე ხელის აღებას. ორატორებმა სთქვეს, რომ უთუოდ უნდა ინაღვლოს რამე მთავრობამ და საუკეთესოდ შესცვალოს მუშა ხალხის ყოფა-ცხოვრებაო. კონსერვატორების ორატორებმაც თვალი არ აარიდეს ამ საგანს. ნოტინჰემში ეხლანდელმა მთავარ-მინისტრმა სალისბერიმ დიდი სიტყვა წარმოსთქვა და თითქმის იგივე სთქვა მუშების შესახებ, რაც ლიბერალებმა. სალისბერის აზრით, უნდა შემცირდეს დღიური მუშაობა მუშებისა და, თუ რვა საათი არა, ცხრასა და ათს საათზედ მეტს არ უნდა ამუშაონ მუშები დღეშიო. უბედურება მხოლოდ ეს არის, რომ ნაკლებ მუშაობასთან დღიური ფასი არ მოაკლდეთ მუშებსაო. თორემ ყველამ იცის გამოცდილებით, რაოდენად ნაკლებ ნაყოფიერია შრომა კაცისა, თუ ყოველ დღე მეტად ხანგრძლივია.

სალისბერიმ მიაქცია ყურადღება აგრეთვე იმ გარემოებას, რომ სოფლელ მუშა-ხალხს მიწა უნდა შესძინოს მთავრობამ საკუთრებადაო, ქა-

---

ერის ამ გვარს მდგომარეობაში?.. მაგალითს ეხლავ მოგიყვან. დავიწყოთ მწერლობიდამ... ჩვენს მწერლობაში, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ჩვენის მწერლობის შესახებ ახალი ამბავი მოხდა, ახალი სიტყვა ითქვა და ეს სიტყვაც შენის ყურის პირში დაიბეჭდა: შენ უფრო ადრე გაგებული უნდა გქონდეს, მაგრამ მაინც უსარგებლო არ იქნება ეს ახალი მოვლენა გავიცხოველოთ გონებაში... წინა წერილში ხომ გწერდი, ახალგაზდობაში თითო-ოროლა თხა არ დაგველევა-მეთქი. აი ამის მაგალითიც. ჩვენ გამოგვიჩნდა ახალგაზდა მწერალი, რომელიც რუსულად სწერს წერილებს საქართველოზე. ისეთი სიმართლე და იმდენი ჭეშმარიტება სთქვა ამ ახალგაზდა თხამ, რომ ბაყბაყ-დევიც-კი შეიძრა თურმე ქვესკნელსა მას სარეცელსა თვისსა და თავისი თეფშივით ყურები აცქვიტა. ამ ჩვენის თხის კიკინს შემდეგ ერთი ბაყაყიც ველარა ჰბედავს ყიყინს ჭაობში. საწყალს თხას გაუგონია, უარ-ყოფას ბაზარი აქვსო, და უარ-ჰყოფს ყველაფერს ჩვენსას და რა გგონია, უარ-ჰყოფს ჩვენს დიდებულს პოეტს, დიდებულის პოემის დამწერს, რომელიც მეორე ღმერთად მიაჩნია ქართველს ერს, რომლის სახელიც ძუძუთა ბალღმაც-კი იცის... საწყალი ჩვენი თხა: თუ ღმერთს ამისათვის უნარი არ მიუცია, რომ თავის ჭკუით ასწონ-დასწონოს საქმე, გაიგოს მისი ავ-კარგი, ქვეყანას მაინც რატომ არ დაეკითხა. ნუ თუ არ იცის საწყალმა ჩვენმა პუბლიცისტმა, რომ ქვეყანა კრებულად გენიოსია და ადვილად არ გაიღმერთებს მწერალს, თუ მართლა გასაღმერთებელი, სათაყვანებელი არ არის, თუ პოეტი თავის გრძნობითა და გულით არ არის გამომხატველი და წარმომადგენელი ერის სულისა და გულისა, მზიდველი, მტვირთველი ერის ჭირისა და ლხინისა. სწორედ კლინიკაში გასაგზავნი, გასაჩხრეკი და შესამოწმებელია იმისთანა გოგრა, რომელიც ღმერთს მხოლოდ იმიტომ უარ-ჰყოფს, თითონ გაღმერთდეს; თეთრს შავს ეძახის მხოლოდ იმიტომ, რომ ქანი უცლის ქვეყნის აბუჩად დაჭერისა... რად აეწყდება ბეჩავს ჩვენს პუბლიცისტს იმის სიტყვები, ვისაც უარ-ჰყოფს?

მას მწერალი არა ჰქვიან,
თუ სადმე სთქვა ერთი-ორი;
თავი უნდა ნუ ჰგონია
მელექსეთა კარგთა სწორი;
განაღამც სთქვას ერთი-ორი,
უმსგავსო და შორი-შორი;
მაგრამ იტყვის, ჩემი სჯობსო,
უცილობლობს, ვითა ჯორი.

სწორედ რომ საკვირველი თავმოყვარე, თავის კრიტიკოსობაზე და შეუმცდარობაზე დაიმედებული უნდა იყოს კაცი, რომ „ვეფხის-ტყაოსანში“ ხმოვანთა ასოთა კრების მეტი ვერაფერი ნახოს და შოთას უკიჟინოს, რომ იმას სიყვარული არ ესმისო... მაგრამ არც საკვირველია: უმეცრებაზე და უნიჭობაზე თამამი სხვა რაღა იქნება?!. რა გასაკვირველია ტარიელისა და ავთანდილის სიყვარულს სისულელე დაუძახოს იმისთანა კაცმა, რომელსაც თავის სიცოცხლეში „рабочій вопросъ“-ის მეტი არა ჰყვარებია და, სადაც ამას არ შეჰხვდება, იქ არც ხელოვნებას და არც სიყვარულს დაინახავს; ამ უ-„рабочій вопросъ“-ოდ ის ვერ გასძლებს და არც უნდა ისეთი დრო წარმოიდგინოს მომავალს კაცობრიობის ცხოვრებაში, რომ ეს „вопросъ“-ი არ იყოს; მუდამ იმის სადღეგრძელოს სვამს, თუმცა-კი იმავე დროს ღმერთს იმასაც ევედრება, „რაბოჩი ვოპროსი“ გათავდესო. მთელი ცხოვრება კაცობრიობისა, კაცის ბუნება მხოლოდ ერთად-ერთის „ვაპროსით“ ეზელილ-შემზადებული ჰგონია... საკვირველ არიან, უფალო, საქმენნი შენნი! განათლებულობაზე თავ-გამოდებული ჩვენი კრიტიკოს-პუბლიცისტი უნდა იცნობდეს ბელინსკის, რომელიც ამბობს: у кого нѣтъ эстетическаго чувства, кому не говоритъ само за себя поэтическое произведеніе, тому остается гадать о немъ по пальцамъ, или соображаться... აქ ბელინსკი, რადგან საზოგადო. მიმდინარეობა მისის აზრისა ითხოვს, განაგრძობს: съ метрическими книгами-ო. ჩვენ ეს ფრაზა ასე უნდა შევცვალოთ: съ рабочимъ вопросомъ. დიაღ, тому остается соображаться только съ рабочимъ вопросомъ... მე, ჩემო ექვთიმე, მიკვირს და არც-კი მიკვირს ეს ამბავი, თუმცა-კი გულს მიმღვრევს... არ მიკვირს, რადგან წინდაწინვე (იქნება ღმერთსა ვცოდავდე) დარწმუნებული ვარ, რომ ჭკუა მოკლე კაცი ბევრია ჩვენში და ყველას არ შეუძლიან დაფასება, გაგება მშვენიერებისა, რომელიც პოეზიის საფუძველია. წინდაწინვე ვიცი, ყველას გული და გრძნობა ვერ შესწვდება გაიგოს მაღალი გრძნობა, მაღალი აზრი, მაღალი, დიადი ხასიათი. ხომ გახსოვს იგივე ბელინსკი რას ამბობს პოეტზე? აი რას: Поэтъ благороднѣйшій сосудъ духа, избранный любимецъ небесъ, таинникъ природы, эолова арфа чувствъ и ощущеній, органъ міровой жизни და სხვ. და სხვ. თუ პოეტი, ბელინსკის სიტყვით, უწინდესი და უკეთილშობილესი ჭურია სულისა, მაშ ხომ იმის ნაწარმოებიც წმინდა რამ იქნება, რომელსაც მარტო მაღალი, პოეტის გულზე ცოტად თუ ბევრად დაახლოვებული გული გაიგებს? მაშ როგორ დავავალოთ სიწმინდის, უმაღლესის გაგება იმათ, ვისი გული და სულის სიწამხდრე დღესავით, მზესავით ცხადია. კმარა, კმარა! გზა დაულოცოთ ამ გმირებს შემდეგის ლექსით:

ნესვთა და კარდთა ვინადგან
მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და მცირთა ტუჩება
შენამც ნუ მოგეწყინების.
ცრუვი ხომ ცრუვსა დაბამს,
იგი თვითც ების, ვინც ების.
მგ ზღვა სიცრუის შენისა
თავზედვე დაგედინების!

**

რამდენადაც ეს მახინჯი გრძნობა-გონების კაცია დამნაშავე ისტორიასთან, ქვეყანასთან პირადად, იმდენად თითონ საზოგადოებაც დამნაშავეა, რადგან თავის დაუდევნელობით, თავის უფერულობით საბუთს აძლევს ვინც არა მგონია ხლესტაკოვებს თავისის თავის მასხარად აგდებისას.... ანკი რა საზოგადოებაა ჩვენი საზოგადოება? რა ადგილი აქვს ამ აბძანდ-დაბძანდის, მიბძანდ-მობძანდის, ბანქო-ლოტოს, დალიე-დამალევინე, სული ნუ დამალევინეს კრებულს? ამათ წრეში არა მუშაობს ძლიერი ლახტი სიყვარულისა და სიბრალულისა, იგი თავისებურობას მოკლებულია, ვინ არა მგონია გადიბირებს თავის მხა-

ღაქელებს სადგურები უკეთესად მოუწყოსო და ღარიბს ხალხს შეეწიოს სწავლა-განათლების შეძენაშიო. ერთის სიტყვით, სალისბერის სიტყვამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ კონსერვატორები არას დროს უარს არ არიან საკეთილო ცვლილება შემოიღონ, როცა ამ ცვლილებათა შემოღება საჭიროა ქვეყნის მშვიდობიანად წარმატებისათვის...

საფრანგეთი. ამ ორის წლის შემდეგ მოდის ვადა იმ ხელ-შეკრულობისა, რომელიც საფრანგეთსა აქვს დადებული სხვა-და-სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობის შესახებ. თუ შეცვლა იქნება საჭირო, ერთის წლის წინად უნდა გამოცხადდეს, რომ ის ხელ-შეკრულობა გვინდა შევსცვალოთო. ამიტომ ეხლანდელმა პალატამვე უნდა იზრუნოს, შეისწავლოს ეს საქმე და ასე თუ ისე გადასწყვიტოს, საჭიროა თუ არა დღემდე არსებული სავაჭრო ხელ-შეკრულობანი. ორგვარი აზრი არსებობს საფრანგეთის ვაჭრობის შესახებ რესპუბლიკელებში. ერთნი ადგანან იმ აზრს, რომ სახელმწიფო უნდა მფარველობას უწევდეს თავის ქვეყნის წარმოებას, ვაჭრობა-მრეწველობას ბაჟების შემოღებით, ხოლო მეორენი წინააღმდეგნი არიან იმისი და ამბობენ, რომ, თუ მთავრობა ჩაერევა ამ გვარს საქმეში, ამ ჩარევით მდიდარს მრეწველებსა და ვაჭრებს კი არ უნდა დაეხმაროს, არამედ ღარიბსა და შეუძლებელს ხალხსაო. ამ მხრით საყურადღებოა წერილი კლემანსოს გაზეთის „Justice სი“:

„რამდენჯერმე გვითქვამსო, ამბობს ეს გაზეთი: და ეხლაც ვიმეორებთ, რომ რესპუბლიკელების უმრავლესობას და არც სხვას ვისმე არ შეუძლიან ისეთი ჯადო მოიგონოს, რომ იმის შემწეობით, უცბად, ერთის თვალის დახამხამებაში შეიძლებოდეს სრულიად შეიცვალოს ჩვენი საზოგადოებური ყოფა-ცხოვრება. მაგრამ ჩვენ ამასაც დავძენდით ხოლმე, რომ კანონი სუსტის დახმარებას უნდა სცდილობდეს, ისეთს ღონისძიებას უნდა აძლევდეს იმათ, რომ უფრო ადვილად ახერხებდნენ ლუკმა პურის შეძენასა და დამოუკიდებლობის მოპოვებასაო. ერთის სიტყვით, კაცთ-მოყვარე კანონების შემოღებით ისეთი წეს-წყობილება უნდა არსებობდეს, რომ წარმატება ადვილი იყოს. რაკი გარშემო ასე დაუნდობელი ცილობა და ჯიბრია ეკონომიურს ცხოვრებაში, ჩვენ არა გვგონია კანონ-მდებლობას ნება ჰქონდეს გულგრილად შეჰყურებდეს იმ დრამებს, რომელნიც მის ახლო სწარმოებს და სმენა დაიხშოს, ყური მოუყრუოს იმ განწირულს ხმას შველისასა და დახმარებისას, რომელიც ისმის ხალხში. შარლ ფერრი ამბობს, რომ მრეწველობას მხოლოდ ერთი რამ უნდა, სახელდობრ, სრული თავისუფლებაო. მაგრამ ჩვენ აგრე არა გვგონია. მრეწველობას ცოტაოდენი სხვა რამეც უნდა, ვიდრე ის, რასაც შარლ ფერრი თხოულობს. მრეწველობა თხოულობს მფარველობის ბაჟს თავის საქონლისათვის. ხოლო ჩვენ ვთხოულობთ მფარველობას ადამიანთათვის. კანონები მარტო სავაჭრო საქონლისათვის-კი არ არსებობს, არამედ კაცთათვისაც“...

— ფრედერიკოსს პასის წაუკითხავს ამ დღეებში საჯარო ლექცია დედაკაცისა და მამაკაცის გათანასწორების შესახებ. ლექციაზე სხვათა შორის ბლომად მისულან ქალები. პასის უთქვამს, რომ მე მომხრე ვარ დედაკაცისა და მამაკაცის სრულის გათანასწორებისაო. დღეს საფრანგეთში უკვე არიან მკურნალი დედაკაცები და იმედია, მალე იურისტებიც გაჩნდებიანო. საარჩევნო უფლებაც უნდა ჰქონდეს მინიჭებული დედაკაცებსაო. სამოქალაქო უფლებათა მიუნიჭებლობა ხომ სულ არასა ჰგავსო. დედაკაცი ვაჭრობს, შეიძლება ან უჩივლოთ ან გიჩივლოთ, შეიძლება სამართალმა გამოაცხადოს, რომ ესა და ეს ვაჭარი დედაკაცი გაკოტრდაო, და როცა არჩევანებია საკომერციო სამოსამართლოში მოსამართლეებისა, იქ-კი ხმა არა აქვსო. დედაკაცს შეუძლიან ჩვენება აძლიოს სასამართლოს წინაშე და ხელის მოწერით ნება არა აქვს დაამტკიცოს სიგელი და საბუთის ქაღალდი. სასაცილო არ არის ესა? იმათ, ვინც ამბობს, რომ მამაკაცს ბევრი უპირატესობა აქვს დედაკაცზეო, ჩვენ ვუპასუხებთ მილის სიტყვებით: „როგორ? ამბობს ინგლისის ფილოსოფოსი: თქვენ გგონიათ, რომ დედაკაცს შნო არა აქვს გამოიყენოს სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებანი? თქვენ აბრალებთ დედაკაცს თავქარიანობას, უზრუნველობას და უდარდელობას! მაშ აბა მიეცით თავისუფლება, იმის მაგიერ, რომ ასე დამოკიდებული გყავთ, და დაინახავთ, რის უნარი და შნოცა აქვს დედაკაცს. ცარიელი და ლიტონი სიტყვა არა კმარა, რომ ვითომ შეუძლებელია თანასწორობა დედაკაცისა და მამაკაცისაო. საჭიროა ეცადოთ. ამ ცდას, ამ გათანასწორებას ის მოჰყვება, რომ გაძლიერდება გრძნობა პატივისცემისა დედაკაცის წინაშე, ის გრძნობა, რომელიც თანდათან ასე ძრიელ სუსტდება“. განათლებაცა და წარმატების სიმაღლეც გაიზომება მით, თუ რაოდენად პატივსა სცემენ ერთმანეთს დედაკაცი და მამაკაცი, ზნე-ჩვეულების მიხედვითაო.

◆◆

## წვრილი ამბავი

ჩინელები თავისებურად ჰზრდიან თურმე ყმაწვილებს. ერთ წლამდე, ვიდრე ყმაწვილს ძუძუ არა აქვს გაშვებული, დედასთან არის. დედა ძალიან ბევრს არას ჰზრუნავს შვილისთვის, ჩვრებში არ ახვევენ, იშვიათად აბანავებენ და თუ აბანავებენ, ძალიან თბილს, თითქმის ცხელს წყალში. აკვანი ისე აქვთ მომართული, რომ მთელი დღე ირწევა ბავშვი. ერთის წლის შემდეგ, როცა ბავშვს საჭმელის ჭამა შეუძლიან, დედა ძიძას აბარებს, უთუოდ მამაკაცს, ახალგაზდა ბიჭს, რომელიც მთელი დღე ხელში დაათრევს ყმაწვილს და ქუჩებსა, მინდორსა და ბაღში დაჰყავს. ამ ერთ-წლოვანს ყმაწვილს თავის ძიძასთანვე სძინავს, ესე იგი მამაკაცების განყოფილებაში. ორისა და სამის წლის ბავშვი თითქმის სულ არა ჰხედავს მშობელს, ერთთავად მამაკაცებშია. თუ ოჯახში მამათა სქესის ყმაწვილი დაიბადა, ერთის წლის შემდეგვე მამაკაცების ხელში გადადის. ხუთის წლიდგან ყმაწვილს აბარებენ სასწავლებელში, სადაც იგი კითხვასა სწავლობს, ანგარიშს და რიცხვების წერას ერთიდგან ათასამდე. ამ პირველ-დაწყებითს სწავლას რომ შეიძენს, პატარა ბიჭი ან მამის დუქანში მიდის შეგირდად, თუ იმის მამა ვაჭარია, და ან მოსამსახურედ გააბარებენ. მდედრთა სქესის ორისა, ან სამის წლის ყმაწვილიკი დედასავე უბრუნდება, ესე იგი დედაკაცების განყოფილებაში იმყოფება. აქ ვარდის ფერს შარვალს აცმევენ, ყოველ დღე ფერსა და უმარილს უსვამენ და თმებში ვარდებს უმაგრებენ. მდედრთა სქესის ყმაწვილს შვიდის წლიდგან ფეხები ეკვრის, ამ ხნიდგან არც კაცებში უნდა გაერიოს და არც ქუჩაზე გამოვიდეს. ქალები ყმაწვილს წერა-კითხვას ასწავლიან და გასათხოვლებლად ამზადებენ. 12—13 წლის ქალი უკვე მზად არის მეუღლეობა გასწიოს და თავის მშობლების სურვილისამებრ თხოვდება კიდეც. ჩინელებში ფიზიკურად განვითარება ყმაწვილისა ისეთვე არ იციან, როგორც სხვა-და-სხვა მეცნიერების სწავლება. ქალებს უმეტესად ხელ-საქმეს ასწავლიან. მამაკაცებშიაც ძალიან იშვიათია, რომ მეცნიერება აცოდინონ, ასწავლონ ვისმე. მეცნიერი, ნასწავლი კაცი ვაჭარი, ან მექარხნე და კერძო კაცთან მოსამსახურე ვერ შეიქნება. თუ ნასწავლი გახდა, იგი სახელმწიფოს კუთვნილებაა და მთელი თავისი სიცოცხლე ამ სახელმწიფოს სამსახურში უნდა გაატაროს. ყველაზე უფრო საოცარი ის არის ჩინელთა შორის, რომ იქ არც დედა და არც ძიძა ყმაწვილს არასოდეს არა ჰკოცნის, კოცნა და ამბორი ჩინეთში სულ არ არსებობს.

— ლონდონის ერთს გაზეთს ამას წინად თავისს სათეატრო განცხადებაში ერთს მხცოვან არტისტ-ქალის შესახებ დაუწერია სხვათა შორის, რომ ეს ქალბატონი შლიმანის მიერ ტროადის ნანგრევებიდგან მოპოვნილს სამკაულს მოგვაგონებსო. არტისტ-ქალს, რაღა თქმა უნდა, ეს შენიშვნა ძალიან სწყენია, სასამართლოში საჩივარი აუტეხნია და ზარალის ზღვევა მოუთხოვნია, რადგან შლიმანის მიერ აღმოჩენილი სამკაულნი მხოლოდ არხეოლოგთათვის არის საინტერესო და საყურადღებოო; ქალა თითქმის ყოველ დღე უსახელო წერილები მომდის და თავი მოპეზრებული მაქვს, რომ კარგად გაისინჯეთ ტანი, ბერძნული ზედწარწერა ხომ არსადა გაქვთო. მოსამართლეს, როგორც ყოფილა, მოურიგებია რეცენზენტი და არტისტ-ქალი ერთმანეთში იმ გვარად, რომ დამწერი თავისს დაწერილს უარ-ჰყოფს. მეორე დღეს მართლაც იმავ ლონდონის გაზეთში შემდეგი ახალი ამბავი ყოფილა დაბეჭდილი: «ჩვენი მშვენიერი არტისტი-ქალი დღეს თავის შვილებთანა და შვილიშვილებთან ერთად თავისის დაბადების დღესა დღესასწაულობს. დღეს არტისტ-ქალს „თვრამეტი წელიწადი“ უსრულდება».

◆◆

## დეპეშა

27 ნოემბერი

ასხაბადი. რამდენადაც აქ ვიცით, არც თეირანში, არც სპარსეთის მხრით კასპის ზღვის სანაპიროებში და არც ხორასანში ხოლერის ავადმყოფობას თავი არ უჩენია. შუაგულ სპარსეთში-კი ხოლერა ძრიელ არის.

პარიჟი. გენერალმა მენელიკმა, სეიუმმა და სებდახმა იტალიელების

---

რეს... თავის საკუთარის აზრის უქონლობა ამ თუ იმ საგანზე და აყოლა ხლესტაკოვების სიტყვისა გულს უფუქებს მას თავის ვინაობაზე, წარსულზე და მომავალზე. ჩვენს საზოგადოებას რომ საკუთარი ფერი ჰქონდეს, განა სანდალებსა და იმათ დამქაშებს გამოესვლებოდათ გარეთ? ვის დაუჯეროს, ვის გაჰყვეს, არც თითონ იცის, რადგან საკუთარი სასწორი და საზომი იმას ხელში არ უჭირავს. რა ქნას ახალთაობამ, რომელიც ჯერ კიდევ სწავლაშია, შემაცქერალმა ეხლანდელის საზოგადოებისა? იმანაც ხომ თავის ცხოვრება ლოტო-ბანქოდამ და დალიე-დამალევინედამ უნდა დაიწყოს? ჯერ-ჯერობით ამასა ვხედავთ და შემდეგშიაც უნდა მოველოდეთ. ვის ახსოვს საზოგადო საქმე და ქვეყანა? თითო-ოროლა კაცი შებმულა ულელში და რის ტანჯვით, რის ვაი-ნაჩრობით მიათრევენ წელ-მოწყვეტილნი მძიმე ტვირთს. ნუ თუ ეს ცოდვა და სირცხვილი არ არის თვით საზოგადოებისათვის, რომელიც შესდგება გონიერ არსებათაგან — კაცებისაგან? ნუ თუ სირცხვილი არ არის ამ უმრავლესობისათვის ორი-სამის კაცის ღვაწლით იკვებებოდნენ, მზა-მზარეულად გაშლილს სუფრაზე ისხდნენ მთელ წლობით და თავის ნაღვაწს, ნაშრომს-კი არაფერს ამადლებდნენ ქვეყანას? ეჰ, რას იზამ?.. ალბად წესი თუა ამ წუთი-სოფლისა, რომ მცირედნი მსხვერპლად იწირებოდნენ უმრავლესობისათვის!.. ესეც ისევ გრძნობის ბრალია: ვინც მეტად გრძნობიერია და მეტადა ჰგრძნობს ავ-კარგს, ვისშიაც მეტი კაცური კაცობაა, იგი ირჯება... გაუმარჯოს გრძნობას, გაუმარჯოს პატიოსანს გულს!.. აბა ვიფიქროთ, რამდენი საქმე გვაქვს გასაკეთებელი, რამდენი გრძნობა და ფიქრი სჭირია ჩვენს ცხოვრებას?! უმრავლესობა-კი კრინტსაც არა სძრავს. ეგ უმრავლესობაა კიდეც შემაფერხებელი ცხოვრების წინ-სვლისა. თავის უმეცრებითა და სიჯიუტით სწორედ ჩინეთის კედელია, დამაბრკოლებელი ცხოვრების გაუკეთესებისა. რა გააწყოს აქ ნიჭიერმა კალამმა, როდესაც ლექსი რითმიანობით ფასდება, პროზა კიდევ იმით, რა საგანზე სწერ და როგორის სიტყვებით?.. ჩვენებურის მკითხველების (უმრავლესობისა, რასაკვირველია) გულში ნიჭიერის კალმის ნაფქვავი და უნიჭოს ნაროხ-ნაროხში ერთად იზილება, ერთ კვერადა ცხვება... როგორც პირვანდელს კაცთა ცხოვრებაში სილამაზე წინ უსწრობდა სარგებლობას და მეტადა ფასობდა, ისე დღეს ჩვენშია, საცა-კი მიიხედავ, კერძო ცხოვრებაში, თუ საზოგადოში... დიდხანს გასტანს ჩვენი ესეთი მდგომარეობა, თუ ცოტა ხანს, ამისი პასუხი შემდეგისათვის დარჩეს.

ბევრი რამ ცხოვრებაში გვრჩება გასაკეთებელი, ცოტა რამ სათქმელი ქაღალდზედაც დარჩეს, რა უშავს, ცოდვა ხომ არ იქნება?

**

დრო თითონ მისცემს პასუხს ამ საკითხავს. ჩვენ ხომ მაინც დრო გვიყვარს. დრო თითონ მოიტანსო, ვიტყვით ხოლმე და უნდა ვუცადოთ, ხელი-კი არ გავანძრიოთ, ერთი დრო მოვა და მოგვიტანსო. ვინ იცის რას მოგვიტანს და რას არა? უცბად გავბედნიერდებით, ხელი-კი მაინცა და მაინც არ უნდა გავანძრიოთ, ცოდვაა, ღმერთს ეწყინება. სწორედ რომ ნამდვილი ქრისტიანენი ვართ, ქრისტეს მცნების მიმდევარნი: „მიჰხედეთ ფრინველთა ცისათა, პირუტყვთა და ქვეწარმავალთა, რამეთუ არცა ჰხნენ, არცა სთესვენ და არცა შეიკრებენ საუნჯესა და მამა ზეცათა ზრდის მათო“.

ბევრმა ნაუბარმაც საქმე გააჭირა. ცოტა ვსთქვათ, ბევრი ვაკეთოთ, ამას რა ემჯობინება, მაგრამ არა, თუ ბევრი არ ვიუბენით, უიმისოდ ვერ დავისვენებთ. ეს ადვილად გასაგებია: რამდენიც ცოტა საქმე აქვს კაცს, ცოტას აკეთებს, იმდენად ბევრსა ლაპარაკობს, სცალიან-და იმიტომ. ჯანდაბას, ნეტავი ბევრი ლაპარაკი იყოს და ამ ნაუბარისა ერთი მეასედი მაინცა კეთდებოდეს, მაგრამ არა, ნაუბარს, ნაგონარს დროს მივაბარებთ, იმან თითონ იცის. თუ კიდევ იმდენი სიმამაცე გამოვიჩინეთ, რომ ნაუბარის განხორციელებას შევუდექით, მაინც ბოლოს ვერ გავატანთ. შენ კარგად გეხსომება თ—ში რამოდენა საუბარი, რა იმედები, რა დიდი ამბავი იყო საგლეხო ბანკის დაარსებისათვის, მაგრამ ბოლოს უნდა იცოდე რა გამოვიდა. ბანკიდამ ფულები საწყლებისათვის-კი არ უსესხებიათ, თითონ ვინც „უპრავლენიაში“ მსახურებენ, იმათ უღიათ ვითომ ვალად, მაგრამ ეს ვალი დღესაც გადაუხდელია, ან არა-და უსესხებიათ ისევ მდიდრებისათვის: ვისაც აქვს, მიეცეს და მიემატოსო!

ჩვენ ხომ ყველაზედ მეტად განათლება გვეჭირება და ჩვენი განათლებულებიც რა მაგალითს აძლევენ მდაბიო ხალხს... განა გასაკვირველია ჩვენმა ხალხმა, ამ მაგალითების მნახველმა, შეიჯავროს განათლება და იმის წარმომადგენელნი? მდაბიო ხალხი ყველაფერს ზნეობრივის თვალით უცქერის, ზნეობრივი ღირსება საგნისა აქვს ხალხს სიავ-სიკეთის საზომად, თუმცა-კი ყველაზე მეტად კუჭის ბედნიერება აწუხებს... კიდეც რომ ითხოვოს ხალხმა განათლება, ვინ გაანათლებს? ჩვენი ბეჩავი სკოლები, ბეჩავს გზაზე დაყენებულები, რა თანხასაც აძლევენ მოწაფეებთ სწავლა-განათლებისას, შენც კარგად იცი. თვით მომზადებაც მასწავლებლისა თავის თანამდებობისათვის კარგად გეცოდინება. ამას დაუმატე ახლა „დანოსები“, რომლებსაც სწერს მასწავლებლის მთავრობას მასწავლებელზე უყური სოფელი, სკოლის მზრუნველად დაყენებული: მასწავლებელი ამა-და-ამ გვარს ლექსებს ასწავლის ბავშვებს, ამა-და-ამ დარიგებას აძლევს ხალხსაო, და ნათლად წარმოგიდგება სურათი ჩვენის ხალხის განათლებისა...

**

ის კაცი-კი, რომელნიც მცირესა ზედა სარწმუნო არიან, იძახიან: წინ მივდივართ, ძალიანაც წინ მივდივართო! კუტმა რომ ერთი ვერსი გაიაროს დღეში, რა თქმა უნდა, გაუკვირდება და მთელს ქვეყანას შესძრავს ძახილით: აბა გაჰხედეთ, რამოდენა მანძილი გამოვიარეო. ისევ კუტს თუ გააკვირვებს ამ ძახილით, სხვას ვის?.. მცირესა ზედა სარწმუნო იყავითო, განა მარტო ერთს ერს გვიბძანებს საღმრთო წერილი. ეს რჩევაც გამოსადეგია მხოლოდ მაშინ, როცა ყველა, გამოუკლებლად, ასრულებს ამ სწავლა-დარიგებას... სხვანი, ჩვენნი მეზობელნი, რომ არ არიან მცირესა ზედა სარწმუნონი, ჩვენ რის პატრონები ვიყვნეთ? ცხოვრება გაჭირდა, ბრძოლა არსებობისათვის გამწვავდა, გაძლიერდა. ვგონებ, რომ არც ღმერთმა და არც კაცმა არ გვიწყინონ ხელის გამოღება მაშინ, როცა ტყავს გვაძრობენ, გვძარცვავენ, როგორც მგზავრებს თავს დასხმული თულები?..

დღეს ეს არის, ხვალ რა იქნება? გეტყვი ქართულად: დრომ იცის.

შენი მარადის პატივისმცემელი

მამუკა

ხარჯით გაწვრთნილის იქაურ ჯარებით დაამარცხეს მანგაშიუ და რასალულა. ამბობენ, ვითომ ყოველივე წინაამდეგობა ტიგრში მოსპობილ იქმნაო.

პეტერბურგი. გუშინ საზამთრო სასახლეში ჩვეულებისამებრ დიდის ამბით იდღესასწაულეს წმ. გიორგის სამხედრო დღეობა. ამ დღესასწაულზე ფიცი მიიღო დიდმა მთავარმა სერგეი მიხეილის ძემ ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცის და სხვა უმაღლეს საიმპერატორო სახლობის წევრთა და მრავალ დიდებულთა თანადასწრებით. გიორგის კავალერების სადილზე, როგორც ამბობს გაზ. «Гражданинъ» ი, ხელმწიფე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მუნდირით ბრძანდებოდაო.

«Нов. Время»-ს სწერენ დეპეშით სევასტოპოლიდამ, რომ აქ შეიპყრეს ინგლისელი, რომელიც აქაურ სიმაგრეებსა ჰხატავდაო. ეს მაგალითი პირველი არ არის, რომ შეეპყროთ საეჭვო მოგზაურნიო.

პეტერბურგი. პეტერბურგში გადამდები სენი, რომელსაც ინფლუენციას უწოდებენ, შესამჩნევად განელდა. შიდა გუბერნიებიდამ და აგრეთვე ავსტრიიდამა და საფრანგეთიდამ-კი მოდის ამბავი რომ ეგ ავადმყოფობა აქა ვრცელდებაო.

ლონდონი. ზანზიბარიდამ იწერებიან დეპეშით, რომ ემინ-ფაშა ჯერ კიდევ მდებიარე ავადმყოფია და სიკვდილის შიშიცა აქვსო.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ნოემბ.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 48 |
| ტრამოყნის კუპონები | $149^{3}/_{4}$ | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | $253^{1}/_{2}$ |
| —მეორისა | — „ | — „ | 226 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | $96^{3}/_{4}$ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | $97^{1}/_{2}$ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | $84^{1}/_{4}$ | — „ |

ვამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. $3^{1}/_{2}$
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ $3^{1}/_{2}$
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ-ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე მოკლე გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას მოკლე გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ვალ. გუნიას მიერ შედგენილი

## სახალხო კალენდარი

1890 წ.

ფასი ორი შაური

ვინც ერთბაშად იყიდის ას წიგნს, იმას მანეთზე ხუთი შაური დაეთმობა, ანუ ერთ თუმნად შეუძლიან მიიღოს 13 მ. წიგნი. ვინც იყიდის 300 ცალს, იმას მანეთზე ექვსი შაური დაეთმობა, ანუ სამ თუმნად შეუძლიან მიიღოს ოთხის თუმნის წიგნი.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობა ჩვეულებრივი პროცენტი. ვისაც სურს კალენდრის გამოწერა, შეუძლიან ნახევარი ფასი ამ თავითვე გამოგზავნოს და ნახევარი მიღებისათანავე გადაიხადოს (съ наложеннымъ платежомъ).

მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას და ტერ-სარქისოვის საკანცელარიო მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ლალაევის სახლში.

ამ დღეებშივე გამოვა „საქართველოს კალენდარი“ 1890 წ. და უბის წიგნი 1890 წლისათვის.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. | „ | 15 |
| ხასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისაგან | „ | 20 |
| ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა გ. იოსელიანისა | „ | 20 |
| პირუტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით | „ | 25 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა | „ | 15 |
| ვოლტერი ზ. ჭიჭინაძისა | „ | 15 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

## წიგნთ-საცავში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცდა, კრებული გამოცემული ალ. გარსევანიშვილისა | „ | 50 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა. | „ | 40 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა. | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. | „ | 50 |
| კაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 20 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა | „ | [illegible]0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. | „ | 0 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ | 15 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ მეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი აკაკისა. | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა | „ | 25 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა | „ | 30 |
| ტიპიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. | „ | 20 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა აკაკისა. | „ | 50 |


# ქოქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია' ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.



# დედა ენა-ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 28-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.